ოქმი:**ო02.37220241**
თარიღი:**24/01/2022**

ოქმი № 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 21 იანვარი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: თ. ტუღუში, ლ. კილაძე, დ. ჭაკნელიძე, ნ. ჭანიშვილი, ვლ. ხავთასი, ნ. მახარაძე, ნ. ურუშაძე, ალ. ბურჭულაძე, გ. სირაძე, ნ. სარჯველაძე, თ. ნიკოლაიშვილი, გ. შილაკაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.,,საქართველოში იაპონიის საელჩოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი“2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული საპროექტო იდეების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ მოკლედ ისაუბრა ,,საქართველოში იაპონიის საელჩოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე აღნიშნა, რომ იაპონიის საელჩო აფინანსებს სოფელ ნაგომრის ხანძრის შედეგად დამწვარი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციას. სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ წინადადებით მიმართა კომისიის წევრებს მხარი დაეჭირათ პროექტისათვის, რომელსაც კენჭისყრით ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ბ.თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

წარმოდგენილი“2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული საპროექტო იდეების მოწონების შესახებ“, აღნიშნა, რომ 10 მილიონი ლარის ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდება ქ.ოზურგეთში, შემდეგ კონკრეტულად გააცნო პროექტები. დასმული იქნა შეკითხვები, მათ შორის რატომ მაინცდამაიც ეს პროექტები იქნა შერჩეული და სხვა. კომისიის წევრმა თ.ნიკოლაიშვილმა მხარი არ დაუჭირა პროექტს იმ მოტივით, რომ კომისიის სხდომის მასალებს წინასწარ არ იყო გაცნობილი, კომისიის წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტები: „საქართველოში იაპონიის საელჩოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ“ და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი“2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული საპროექტო იდეების მოწონების შესახებ“ შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

ბექა თოიძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე